

ნათელა შირინაშვილი

შავი ფერის ამსახველი ლექსიკა ქართულსა და  
რუსულ ენებში

(თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით)

თავდაპირველად განვიხილავთ შავი ფერის იმ მნიშვნელობებს, რომლებიც საერთოა ქართულსა და რუსულ ენებში. ქართული შავ-ფუძისა და რუსული черный-ს მთავარი მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა. შავი არის „ყველა ფერზე მუქი, ნახშირის, გიშრის ფერი“ (ქეგლ). Черный — самого темного из существующих цветов, цвета сажи, угля (Ушак.).

შავი აღნიშნავს შედარებით მუქ ფერს ღია ფერის საპირისპიროდ: შავი პური—черный хлеб. ჩვეულებრივ, მრავლობითში მიუთითებს მუქი ფერის ფიგურებზე ჭადრაკსა და შაშში (საპირისპ. თეთრები).

შავი აღნიშნავს აგრეთვე შედარებით მუქ ფერს ადამიანის სხეულის ფერთან მიმართებით: შავი კანი, შავი სახე. რუსულ ენაში черный იხმარება შავკანიანის მნიშვნელობით (საპირისპ. красный, белый — о расе) черная раса:

Решил Фиглярин, сидя дома, Что черный дед мой Ганнибал Был куплен за бутылку рома И в руки шкиперу попал (Пушк., БАС).

სასტამბო ტერმინოლოგიაში შავი, ჩვეულებრივ, ნიშნავს მსხვილ, მუქ შრიფტს ორივე ენაში: შავი პეტიტი, შავი შრიფტი — черный шрифт<sup>1</sup>, набрать заголовок черным. თუმცა რუსულში ამ ცნების გამოსახატავად უფრო ხშირად იხმარება жирный:

На третьей странице, выведенная жирным шрифтом и курсивом, стояла знакомая фраза (Корол.).

<sup>1</sup> ბიბლიოთეკონომის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული წარმოების ტერმინოლოგია. თბ., 1932.

სიტყვით შავი ხშირად გამოხატავენ იმას, რაც ხელახალ გადაწერას მოითხოვს, ნასწორებ ნაწერს:

მოსემ ისე გაიმართა წერაში ხელი, რომ პატარა საქმეების მიწერ-მოწერაზე შავიც აღარ სჭირდებოდა (ე. ნინოშვილი, ქველ).

**Чернсе письмо** რუსულში იგივეა, რაც черновой:

Смиранный иезуит Антоний вышел из себя: вырвал черную запись из рук Олферьева, бросил на землю, схватил его за ворот (Карамз., БАС).

**შავს** ამბობენ აგრეთვე ფიზიკურად მძიმე სამუშაოზე, რომელსაც არა სჭირდება სპეციალური ცოდნა და ოსტატობა, არამნიშვნელოვან, ქუჭყიან სამუშაოზე, რომელიც ნაკლებად არის დაფასებული:

წილად შავი მუშაობა ხვდა (აკაკი).

**რუსულში** გვაქვს черная работа, черный труд:

От работы и черной и трудной отцветешь, не успевши расцвести (Некр., Ушак.). Бабушка разжаловала ее из камерфрейлины в дворовые девки, потом обрекла ее на черную работу, мыть посуду, белье, полы и т. п. (Гонч., БАС). Рукоделья разделялись на «белоручные» и «черные». К первым относились вышиванье..., золотошвейные и бисерные работы... К черным работам относились: прядение льна, приготовление холста (Печер., БАС).

ქუჭყიანი სამუშაოს შემსრულებელ მოსამსახურეზე ძველად რუსეთში იხმარებოდა გამოთქმები: черная служанка, черный посудник, черная кухарка.

Соничка жила в девичьей, одевалась как черная служанка, мыла и чистила детскую (С. Акс). Теперь я «черный» посудник, или «кухонный мужик», я получаю семь рублей в месяц, моя обязанность — помогать поварам (Горьк.). Повар ушел еще вчера со двора, во время обеда, черная кухарка и кучер просили расчета (Л. Толст., БАС).

Черная кухарка ეწოდებოდა მზარეულს, რომელიც მოსამსახურეთათვის ამზადებდა.

**შავით** აღნიშნავენ ყოველივე ცუდს, უარყოფითს, უსიხარულოს, უბედურს<sup>2</sup>.

**შავი დღე** — черный день (უნივ.); черный день, несчастный день (დ. ჩუბინ.).

<sup>2</sup> ეს მნიშვნელობა სიტყვაში ქალაშავა (მოხევე, ფშ.) — საბრალო, უბედური, საწყალი ქალი: რაი უნდა ვუყოთ იმ ქალაშავასა! (ა. ყაზბ., ქველ). ქალაშავას სინონიმებია ქალკუპრი, ქალბნელი (ფშ.).

**შავი ამბავი** — черная весть.

черные мысли — შავი, შავბნელი ფიქრები (რქმ), ქუფრი ფიქრები.

черные силы реакции — რეაქციის შავბნელი ძალები (რქმ).

черное время — შავბნელი დრო.

черный враг — შავბნელი მტერი<sup>ა</sup>.

საერთო მნიშვნელობების გარდა, შავს ქართულსა და რუსულ ენებში განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს. Черный-ს შემდეგი განსხვავებული მნიშვნელობები აქვს:

1. ჭუჭყიანი: черное белье — სარეცხი (დ. ჩუბინ.), სარეცხი, ჭუჭყიანი თეთრეული (უნივ.); черные руки — ჭუჭყიანი, გათხუპნული ხელები (უნივ.).

2. არამთავარი (საპირ. парадный): черный ход — უკანა კარი, უკანა შესავალი (რქმ), черная лестница — უკანა კიბე (უნივ.), черный двор — უკანა ეზო (რქმ), თუმცა იმერულსა და რაჭულში იხმარება შავი ეზო, სადაც ის გაიგივებულია საჩხტთან:

შ ა ვ ი ე ზ ო კ ა ი ე ზ ო ს ა გ ა ნ ლ ო ბ ი თ ა რ ი ს გ ა ყ ო ფ ი ლ ი (შინამრ., ქველ).

3. უსაკმეტო: черная печь, черная баня, черная изба. ამ შემთხვევაში черный იგეგვა, რაც курной:

Белую называется баня с дымовою трубой, а не курная, которую зовут обыкновенно черною (Печер.). Ночевали в черной избе (где человек, стоя, тонул головой в дыму)... Дым ел глаза (А. Н. Толст.). Изба у Маркушки была черная, то есть без трубы, с одной каменкой вместо печи (Мам.-Сиб., БАС).

Черная изба რუსულ-ქართულ სამტომიან ლექსიკონში თარგმნილია როგორც შუაცეცხლიანი ქოხი.

4. სახელმწიფოსი (ისტ.): черные земли; черные люди ან черные крестьяне (სახელმწიფო მიწებზე მკხოვრებნი). Черные земли ნათარგმნია როგორც სახელმწიფო მიწები (რქმ).

5. ძველად აღნიშნავდა ჯადოსნურს, ავ სულთან დაკავშირებულს:

Для многого из ее (Олеси) черного искусства я не умел найти объяснения в своей небольшой науке (Купр.).

არის გამოთქმა черная книга (ჯადოსნურ წიგნზე):

Я в черных книгах отыскал, Что за восточными горами, На тихих моря берегах, В глухом подвале, под замками Хранится меч (Пушк.).

<sup>ა</sup> როდესაც თარგმანს არ აქვს მითითებული ლექსიკონი, ის ჩვენი დაძებნილია.

6. სასაუბრო მეტყველებაში ეშმაკისა და ავი სულის ხსენებაზე, აგრეთვე ლანძღვა-გინებაზე ამბობენ **черное слово**:

Ефим был мужик степенный, водки не пил, табаку не курил и не нюхал, черным словом весь век не ругался.. (Л. Толс.). Выступал Кузьяр и, храбро расталкивая парнишек, гордо задирает голову: — Черта с два! Все в ужасе отступали от него и шикали. — Это рядом с моленной-то с черным словом (Гладк.).

არსებითი სახელის მნიშვნელობით **черный** ეშმაკის სინონიმად იხმარება:

Много ли, коротко ли время прошло, только пошла я на речку белье полоскать, нагнулась, а **черный** из воды — цап за палец (Сераф., БАС).

ქართულში კი **შავს** შემდეგი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: ზემო-ქართლურში **შავი** არის ვაზის ტანი ფესვის ყელიდან პირველ განშტოებამდე: შავიდან გამოღებული რქა ნაყოფს არ იღებს (**შინამრ.**, **ქეგლ**), ამისი შესატყვისი რუსულში არ ჩანს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ **ქეგლ**-ში არ გვხვდება გამოთქმა **შავი ღვინო** (თუმცა გვხვდება თეთრი ღვინო და წითელი ღვინო). **ქეგლ**-ის ფონდში მოყვანილია ილუსტრაციები:

შავი, მაგარი ღვინო მოგველო (**ჭ. ლომთ.**).

... შავმა ნუნუამ, უხვმა ვაშამმა დააიწყეს მექორწილებს პატარა-ლიც და ყველა მისი მისადევარიც (**ვ. ბარნ.**).

კახეთში, ქიზიყში იხმარება **შავი ღვინო**. როგორც ჩანს, **შავი ღვინო** და **წითელი ღვინო** განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფერითაც. ხოლო, რაც შეეხება თარგმანს, **შავი ღვინოცა** და **წითელი ღვინოც** რუსულში უნდა გადაიცეს შესატყვისით **красное вино**.

ეგრეთ წოდებულ რომბულ გამოთქმებში ბევრი პირდაპირი შესატყვისობა გვაქვს: **შავი მაგია** — черная магия, **შავი სია** — черные списки, **შავი მეტალურგია** — черная металлургия, **შავი მუშა** — чернорабочий (ეს რუსულში კომპოზიტის სახითაა წარმოდგენილი), **შავი კატა გადირბენს მათ შუა** — черная кошка пробежит (между ними), **შავი ბედი** — черная доля, судьба, **черная оспа** — შავი ყვავილი (**უნივ.**), **черная биржа** — შავი ბირჟა (**უნივ.**), **в черном теле держит** — შავ დღეს აყენებს, ჩავრავს (**რქლ**), **на черный день** — შავი დღისთვის (**რქლ**), **черная смерть** — შავი სიკვდილი, **называть черное белым, принимать черное за белое** — თეთრი და შავი ვერ გაურჩევია; თეთრი — შავია, შავი — თეთრია:

იმათ ეხლა ასე ჰგონიათ, რომ რაც სხვისათვის დღეა, ის ჩვენთვის — ღამეა, თე თ რ ი — შ ა ვ ი ა, შ ა ვ ი — თ ე თ რ ი ა (ილია)<sup>4</sup>.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდშიც არის ი. ჭავჭავაძის ფრაზა:

როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ თე თ რ ი და შ ა ვ ი გ ა ე რ ჩ ი ვ ა.

განსხვავებული თარგმანი აქვს გამოთქმებს: **черный народ** — ბნელი. მდაბიო ხალხი (**რქლ**); მოძვ. ღვიცი ხალხი, გაუთლელი, გაუნათლებელი (**უნვივ.**), მდაბალი ხალხი, გლეხობა, მდაბიონი (**დ. ჩუბინ.**); **черный глаз** — ავი თვალი (**რქლ**), **черное духовенство** — ბერმონაზვნობა (**უნვივ.**, **რქლ**), მონაზონნი (**დ. ჩუბინ.**), **черная дичь** — გარეული ღორი, ტახი და მის-თანანი (**დ. ჩუბინ.**), **черная немочь** — სენი ხოლერა (**დ. ჩუბინ.**) — სწო-რია ეპილეფსია.

შავი ფული — медная монета (**დათიკ.**), медные деньги (**დ. ჩუ-ბინ**), შავი ჭირი — чума, морозная язва (**დათიკ.**), შავი არყი — береза Радде (**ბოტ. ლექს.**), შავი გვიზრა — папоротник германский (**დათიკ.**), შავი ცხენი — вороной конь (**დათიკ.**), რა შავ ჭვად უნდა — на чёрта, на кой черт нужно (кому), შავ ჭვასაც ვერ გაიგებს — ни черта не поймёт, ни чёрта не поймет, შავი მიწა — сырая земля, мать-сыра-земля, შავად გათენდება ძვ. — наступит злополучный день.

არის შემთხვევა, როდესაც ერთნაირ გამოთქმას ქართულსა და რუსულში აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა: შავი ტყე და **черный лес**.

შავი ტყე ქართულში უღრან, დაბურულ ტყეზე ითქმის:

ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ნადირსა შავი ტყისასა (ხალჭი). საქართვე-ლოში ბლომად არის ტყე... გაუვალი, შავი ტყე (**ჭ. ლომთ.**, ქეკელ).

რუსულში კი **черный лес** ითქმის ფოთლოვან ტყეზე:

Породы деревьев, теряющие свои листья осенью и возобновляющие их весною, как-то: дуб, вяз, осокорь, липа, береза, осина, ольха и другие, называются черным лесом или чернолесьем (Акс.) და შესაბამისად თარგმანი აქვს — ფოთლოვანი ტყე (**რქლ**).

თარგმნითს ლექსიკონებში არ გვხვდება ისეთი ფიგურალური გამოთქმები, როგორიცაა ქართულში: შავ დღეზე გაჩენილი, დაბადებუ-ლი; შავი ორშაბათი; შავი ქვა; შავ ქვას აჭმევს; შავი ქვა და ნაცარი ცხელი; გულზე შავი ქვა; შავად ათენებს, შავად გათენდება...

რუსულში: рисовать черными красками; наводить черную краску на кого, что-н.; видеть все в черном цвете; представлять,

<sup>4</sup> თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.

показывать, выставлять и т. п. кого, что-н. (в самом) черном виде, свете; черным по белому (написано, напечатано).

**შავი** ორივე ენაში ამ ფერის ტანისამოსის აღსანიშნავად იხმარება:

Итальянец одет был театрально; он был в черном с ног до головы (Пушк., БАС).

შავი ტანისამოსი სამგლოვიაროსაც ნიშნავს:

მამულო, შენთვის მოგკედები, შენთვის ჩაიცვამ შავსაო (ი. გოგ.).

(ქალებმა) წაიძრეს ბეჭდები, სამაჯურები, საყურე... ჩაიცივეს შავებთ (გ. ლეონ., ქეგლ).

შავის სინონიმია (ჩვეულებრივ, სამგლოვიარო ფერთან დაკავშირებით) **თალხი**:

ჩაიცვამს თალხი, ძაძა (ი. გრიშ.).

**თალხი** აღნიშნავს აგრეთვე მუქ ფერს:

ჩოხა ეცვა გაცვეთილი, თალხი, უფრო მტვრის ფერი (დ. ქიჩ.).

**შავ** და **თალხ** ფუძეთაგან განსხვავებით სიტყვები: **საბნელო**, **კარდი**, **კაბაკარდი**, **ძაძა**, **ძაძა-ფლასი** მხოლოდ და მხოლოდ სამგლოვიარო ფერზე მიუთითებენ და თალხისაგან განსხვავებით მეტი სიმძაფრისა და კონკრეტულობის შემცველები არიან:

იულონს ნიშნად გლოვისა ძაძა ეცვა და სახლიდან არ გამოდიოდა (ნ. ლორთქ., ქეგლ). სამგლოვიარო ჩოხა, კაბაკარდი, ჩაიცვა (ვ. ლორთქ., ქეგლ). მათი ოჯახი კვლავ ძაძა-ფლასებშია (ბარნ., ქეგლ).

რუსულში ასეთია ტაურ, ტაურный და креп. Креп-повязка из этой ткани, носимая в знак траура (Ушак.):

В отделе нас ожидал какой-то высокий, стройный джентльмен... в голубой куртке, с черным крепом на шляпке (Гонч., БАС).

Креп არის აბრეშუმის ან ბამბის ქსოვილი, ჩვეულებრივ, შავი ფერისა და ითარგმნება როგორც **კრები**, **სადარმარმაში** (დ. ჩუბინ.), **კრები** (უნივ., რქლ).

ქართულში შავ ქსოვილზე მიუთითებს:

**ჯიგარი** — ძვ. (თუშ.) თალხი ფერის ქსოვილი:

ზურაბს შევეუყერე, მთავარებისკოპოზი რომ მიიცივალა, ჯიგარი („მახ. საქ. ეკონ. ისტ.“). ზოგან მიცვალბულის ხარჯში ცხენს ზევიდან გადააფარებენ ხოლმე „ჯიგარს“, ის შავი ფარჩაა (შინამრ., ქეგლ).

**ტერნო** — ძვ. აბრეშუმის თახახიანი შავი ქსოვილი ერთგვარი: ერთი არშინი ტერნო მოგიტანოს ნინიკამ, ის-კი ემჯობინება. (გვ. გაბ.,

ქველ). დახეულ-გახუნებულ ტერნოს კაბა ძლივს უფარავდა დახეთქილ შიშველ ფეხებს (ი. ეკალ.).

**ყარამანდულა, ყარამანდული** — ერთგვარი შავი ფერის ატლასივით ელვარე ქსოვილი წმინდა მატყლისა:

(თადეოზს) ყარამანდული ხვანჯრიანი შარვალი ჩატანებული ჰქონდა გადმობრუნებულ მესტებზე (რ. ვეტი, ქველ).

**მუხახის შალი** — ქიზ. შინაური წესით დამზადებული შავი ან მუქლურჯი შალი (ზაქათალის რაიონის სოფ. მუხახის სახელის მიხედვით) (ქველ.).

**ხლა** — ძვ. შავი ხელმანდილი (საბა): ვაჟ მართებს მისსა გაყრილსა, შავი ხლა თავსა ჰხლებია (რუსთ., ქველ).

ზოგჯერ შავ-ს ახლავს გამაძლიერებელი სიტყვა, რომელიც შედარების სახითაა მოცემული, რასაც სტილისტიკური მნიშვნელობა აქვს: კუმეტივით, კუნაპეტივით შავი, კუპრივით შავი, ნახშირით შავი, ყორანივით შავი, მაყვალივით შავი, მელანივით შავი, შაშვივით შავი:

მშვენიერი რამ იყო ჩემი შევარდენი! ამაყი, გამბედავი... ამას ცხოვლად ხატავდა მისი შავი კუმეტივით თვალები (ვაჟა). (მაროს) კუნაპეტივით შავი, სქელი თმა აქეთ-იქით გულზე ჰქონდა გადმოფენილი (ნ. ლომ.). (ქალს) კუნაპეტივით შავი თვალები სიცოცხლის ნაპერწკლებით აევსო (ნ. ლომ.). (ბებერი) შავია, როგორც ნახშირი, როგორც ფისი და კუპრია (ვაჟა). კუპრივით შავი და კარგად დაკორებული წვერ-ულვაში ლამაზად უხდებოდა გიორგის შავგვრემან სახეს (ილია). შეხედე შენს რძალს, არაბივით შავია! (ე. ნინოშვი.). მის მელანივით შავს, ხშირ, ხუჭუჭს თმასა და წვერში საკმაოდ გამოერია ჭიკარა (ე. ნინოშვი.). ბებერი იყო... შავი, როგორც მუჯუხალი (ლ. არდ.). კუპრივით შავი თვალები, გრძელი ისრებივით გადაჭიმული წარბები, ცოტათი მოყვითალო თმა... მშვენიერებას უმატებდა ამ ქალს (შ. არაგვ.). თეთრი შუბლი, შავი მაყვალივით თვალები, მზეზე გაშავებული ლოყები (ნ. ლორთქ.). და თვალწინ დაესხა იმ შაშხივით შავად გამოსულ ქალის უარი სამარცხვინო (ვ. ბარნ.).

რუსულში არის: черный, как смоль, как смола, как уголь, как сажа, как деготь, как вороново крыло, как вишня, как земля, как ночь, как железо, черный. как жук, как араб, как цыганка და სხვ.:

Волоса его, недавно черные, как смоль, совершенно поседели (Пушк.). Она смотрела на него сверху вниз, ласково улыбаясь черными, как угли, цыганскими глазами (Горьк.) Ее (Софьи Андреевны) заплетенные в широкую косу волосы, черные и блестящие, как вороново крыло, опускались почти до самой земли (Загос. БАС). Был на заводе и такой ничей человек — звали его Степа, — черный, как жук, рябой, без бровей (Горьк.). Он стал черен лицом, как араб... (Бунин).

...Старик, черный, лицом, как земля, глядит дико (А. Н. Толст.): Тамара, совсем черная от загара, как цыганка, улыбаясь, помахала ей рукой (Шолох-Синяв.) Волосы, борода и глаза у этого мужика были черные, как сажа (Чех.). Сросшиеся брови и маленький лоб не мешали ей кокетливо играть своими черными, как деготь, глазами (Гонч.). (Охима) подошла к Герасиму и приветливо улыбнулась. Черные, как вишни, глаза смотрят дружелюбно (Костыл.). Настенька имела густые черные волосы, большие, черные, как две спелые вишни, глаза, полуприподнятые вверх (Писем, БАС). Вьется алая лента игриво В волосах твоих, черных как ночь (Некр.).

გამოთქმაში **черный**, как смоль სიშავის გარდა, იგულისხმება თმის ბზინვაც: **Очень черный и блестящий** (обычно о волосах):

Это был среднего роста, очень недурно сложенный молодец с... черными, как смоль, бакенбардами (Гог., МАС). Волосы у него были черные, как смола (Ляшко). У всех (чернокожих женщин) толстые губы,... глаза как смоль, с желтым белком, и ряд белейших зубов (Гонч., БАС).

თმის ფერთან ერთად ბზინვაც აღინიშნება აგრეთვე გამოთქმაში **черный**, как вороново крыло, как воронье крыло:

А приказчик брюнет или блондин? — Брюнет и даже с сизым отливом, как вороново крыло (Лейк., БАС).

ქართულშიც **ყორანივით შავი** უფრო ხშირად თმის მიმართ არის ნახმარი და პრიალსაც გულისხმობს:

ჩემი თმაც ყორნის ბოლოსავით იბრჭყვიანებს (ვ. ბარნ.).

საყურადღებოა, რომ ქართულში თითქმის თანაბრად იხმარება გამოთქმები: **ყორანივით შავი**, **ყორნის ფრთასავით შავი** და **ყორნის ბოლოსავით შავი**. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ქველ-ის საილუსტრაციო ფონდიდან:

ღალი ჰასანი — ყორანივით შავი იყო (მ. ჯავახ.). გამზდელმა ეტლში დამალა თავისი ყორანივით შავი ქალი... (თ. რაზ.). ციხის ერთს ოთახში... კაცი იჯდა... ყორნის ფრთასავით გაშავებულის უღვაშებით (ალ. ყაზბ.). თვალთ მომხიბლავი ციალი, თმა თუ ყორნის ფრთას ჰგავისა (ვაჟა). ახლგაზრდას... წვერ-ულვაში ჰქონდა მოკლე, ქორფა და ყორნის ფრთის ფერი (ნ. ლორთქ.). ხშირი, ყორნის ბოლოსავით შავი თმა, თორმეტ ნაწნავად დაწნული, ნიშნად ღრმა მწუხარებისა... (ვაჟა). ბოლსა და ჰვარტლს ისე გაუშავებია, როგორც ყორნის ბოლო (ვაჟა).

შავი თმის ეპითეტად პოეზიაში ნახმარია **ყორნის თმა** (თმა-ნაწნავი):

ქალს-კი ყორნის თმა-ნაწნავი მოქნილ ტანზე ერხეოდა (ი. გრიშ., ქველ).



ზემოთ მოყვანილ ფრაზებში ამ ტიპის შედარება ადამიანის დამახასიათებელ ფერთან არის დაკავშირებული, მისი თვალის, თმის ფერთან, თუმცა სხვაგვარი შემთხვევებიც აღინიშნება:

ცა ისეთი ჩნდა, ვით კუპრი, შავად შიოდა (ვაჟა). (ღამევი) ... რათხარ ჯავრივით შავი და ბნელი? (კ. მაყ.). მხოლოდ ცეცხლზე დიდრონი ნახეჩები ეწყო რცხილისა და წიფლისა და ზედ ხის საკიდელზე ყორანივით შავად ჩალხანა ქვაბი მოსჩანდა (ვაჟა). ბუხრის წინ მხოლოდ ღნავალა სთვლემდა, ხოლო ბუხრის გვერდზე ლობიოს სადუღარი მოჩანდა სახელოვან ცეცხვით, ყორნის ბოლოსავით გაშავებულ სარქველიანად (ვაჟა). შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა (ი. გოგ.). მე ვიჭექი ყორანივით შავ ცხენზე (ს. შთვარ.). იცოდე, პირველი ცხენი თეთრი უნდა იყოს თოვლივითა, უკანასკნელი — კი შავი, როგორც ყორანი (ალ. სუმბათ.)<sup>5</sup>.

რუსულშიც არის სხვაგვარი ხმარების შემთხვევები:

Глядь, между деревьями мелькнула и речка, черная, словно вонзенная сталь (Гог., БАС). За окнами наступала осенняя ночь, черная, как сажа (Чех., БАС). Большой, черный, как головня, ворон тяжело ходил по снегу в стороне от дороги, (Горьк., БАС). На дорогу вышел черный, как воронье крыло, бык Петушок с белым пятном на лбу (Мусат., БАС). Старый ворон, иссиня-черный, с длинным, черным, как железо, клювом, глянул в беззвучную черную часть танка (Карав., БАС). Тьма ночи, сливаясь с черною, как смоля, степною грязью образует что-то до того непроницаемое, что глазам становится больно (Гл. Усп., БАС). На той стороне реки горел костер, и свет его ярко отражался в черной, как смоля, воде (Арс., МАС).

შედარების სახით მოცემული შავის გამაძლიერებელი სიტყვა, ცხადია, შავი ფერის შემცველი უნდა იყოს. ამ მხრივ საინტერესოა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: **черный, как железо, черный, как земля და черный, как вишня, რადგან არც რკინა, არც მიწა და არც ალუბალი**<sup>6</sup> შავი ფერის არ არის, რასაც რუსული ენის ლექსიკონებიც ადასტურებენ:

железо — металл серебристого цвета;  
земля — вещество темнокоричного цвета;  
вишня — ягоды, плод темнокрасного цвета  
(Ушак, БАС, МАС).

<sup>5</sup> ყორანი-ფუძე გამოყენებულია ცხოველის (კამეჩის, ცხენის) საკუთარ სახელად: სანდალა... ხედავს ცხადღევ, ვითომ ზის გუთნის დედის ყორანა კამეჩზე (ს. შავლობ., ქეგლ). „ყორანამ“ გრივალეით ჩაიჭროლა თავვე (ს. შთვარ.).

ადამიანზეც უხმარიათ: ასეთი გახლდათ... ჯიბვირების და წვრილ ქურდების „ლიდერი“ და მოთავე „ყორანი“ (ი. გედევ.).

... черная как ежевика, борода узенькой полоской тянулась от... ВИСКОВ —, რაც ქართულის კალკს წარმოადგენს, რუსულისათვის ამგვარი ღასიათის შედარება (черная, как ежевика) ბუნებრივი არ არის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსულში თმასთან დაკავშირებით ხმარობენ черный, как смоль (смола), как сажа და სხვ., ხოლო თვალბთან დაკავშირებით — черные, как угли, как вишни, как деготь და სხვა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსული ენის 17-ტომიან ლექსიკონში გვხვდება სიტყვები угольный და черносливный//черноссливевый, რომლებიც თვალბის სიშავის გამოსახატავად არის გამოყენებული:

Быстрые, угольные глаза его (Володьки) были лукавы. (Первенц., БАС). Горячие черносливные глаза смеялись заглядывая избалованно (Малышк.). Румьники с черносливовыми глазами карабкались на танк, чтобы расцеловать сидящих на броне (Павлен., БАС).

ამ ფორმათა გამოყენების ერთეული შემთხვევები აღვნიშნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს სიტყვები გავრცელებული არ არის, რის გამოც ლიტერატურაშიც ვერ პოვეს ასახვა და, რასაკვირველია, თარგმნით ლექსიკონებშიც არ იქებნება.

აგრეთვე არ იქებნება თარგმნით ლექსიკონებში смолистый, რომელიც მხოლოდ თმაზე ითქმის და ფერთან ერთად ბზინვასაც გულისხმობს (смолистый — похожий на смолу цветом, блеском; очень черный);

Доктор этот был видный из себя мужчина, имел прекрасные смолистые бакенбарды (Гог.). Она потушила глаза и черные, смолистые ресницы ... заблестали на светлых щеках ее (Дост.). Они проехали час и другой, а взводный с лихим и смолистым чубом все не показывался на тропе (Фад., БАС).

რუსული ენის 17-ტომიან ლექსიკონში იქებნება აგრეთვე მოძველებული ფორმა СМОЛЬНЫЙ:

Как яростно носится... цыган со смольной бородкой (Бунин, БАС).

СМОЛИСТЫЙ-ს შესატყვისად შეიძლება გამოვიყენოთ კუპრივით შავი:

(ადელს) ორი გრძელი კუპრივით შავი ნაწნავი უკან ბეჭებზე ჰქონდა გადაყრილი (ვკ. გაზ.). ლაცაბიძემ... კუპრივით შავს წვერულვაშში თეთრი ეშვები გააკრიალა და ვაეიდა (მ. ჭავჭავ.). (ეთერის) კუპრივით შავი თმა თეთრ ბალიშზე ისე ჩანდა, თითქოს მელანი ყოფილიყო სპეტაკ ქა-

დალზე დაღვრილი (რ. გვეტ.)<sup>7</sup>. ამ ვაჟაკს ლომის ფაფარივით გადაეყარა თავისი კუპროვიით შავი თმა (ე. ნინოშ.).

რუსულში მუქ, ხშირ წარბებზე ამბობენ **соболиный//соболий** (**тe-мный, густой и шелковистый. О бровях**):

Я угадывал темные кольца кудрей, Очерк уст горделивый и смелый, Благородный размах соболиных бровей И ресниц шелковистые стрелы (Надсон). Вот, вот она Любашина злодейка, Черноволосая с собольей бровью (Мей, БАС).

ამას ქართულში არ აქვს შესატყვისი და ალბათ აღწერილად უნდა გადმოიცეს.

**გიშრისფერი** ძალიან არის გავრცელებული თვალებისა და თმის ეპითეტად:

მათიას თვალწინ ეხატებოდა გიშრისფერი თმები (ა. ყაზბ., ქეგლ).  
თუმცა ამბობენ **ფერი**ს გარეშეც: **გიშრის თვალები, გიშრის თმა**:  
გიშრისა თმანი, ნაშალნი, შვენნიან სვეტაჲ საცემელსა (ნ. ბარნ.). ბევრი თავადიშვილის ქალი ინატრებდა იმის ჭირანივით მოღერებულ ყელსა, იმის გიშრის თვალსა, იმის გიშრის თმასა, ლერწამ ტანსა! (ილია).

პოეზიაში გვხვდება **თმა-გიშერი**:

გაიშალა თმა-გიშერი, ფლოსტი ფეხთით გაიხადა (ხ. შაჰშ., ქეგლ).

ძალიან შავ თვალებზე რუსთაველს ნახმარი აქვს **გიშრის ტბა**:

მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმით შენარხული.

ქალის სილამაზის აღსანიშნავად პოეტურ თქმაში იხმარება **ვარდ-გიშერი** (წითელი ლოყები და შავი თვალ-წარბი):

მოხველ და გულს გადმომფინე დალალი, ბროლ-ფიქალი, ვარდ-გიშერი და ლალი (რ. ერისთ.). შუმან ლომსა ვარდ-გიშერნი ბლჩას ბალად უშენოსა (რუხთ.).

გიშრის შესატყვისად ქართულ-რუსულ ლექსიკონებში (დ. ჩუბინ., ქ. დათიკ.) მოცემულია **гагат**<sup>8</sup>. დ. ჩუბინაშვილის **რქლ-შაჲ** **гагат**-ს შესატყვისი აქვს **გიშერი**. ხოლო თვალების, თმის მიმართ რუსულში დამკვიდრებულია **агат**, **агатовый**<sup>9</sup>, ნაცვლად **гагат**, **агатовый**-სა. მაგ. პუშკინს აქვს:

<sup>7</sup> რ. გვეტაძეს ნახმარი აქვს აგრეთვე ფორმა **კუპროვანი**: **კუპროვანი** თმის ტევრით დაფარულ ბალიშზე ერთი ხელი თავქვეშ ედგა ირმას.

<sup>8</sup> Гагат — особый вид каменного угля, получающего сильный лоск при полировке и идущего на брошки, аграфы и др. украшения (Ушак.).

<sup>9</sup> Агат — ценный твердый минерал, состоящий из слоев различной окраски (Ушак.) — აქატი (დ. ჩუბინ., უნივ., რქლ).

Нет, не агат в глазах у ней.

Глаза же у царя Соломона были темны, как самый темный агат, как небо в безлунную летнюю ночь (Купр.). Пел он (Денисов) страстным голосом, блестя на испуганную и счастливую Нагашу своими агатовыми, черными глазами (Л. Толст., ВАС).

ჩანს, სადღესოდ აგათოვით გიშრისფერის სრულ შესატყვისად ითვლება.

სრული შესატყვისით გადაიცემა აგრეთვე შავი ფერის ნაკლები ინტენსივობის აღმნიშვნელი ზედსართავები: მოშავო, მოშავფრო:

ლიფსიტას გვერდზე მოლურჯო ფერი დასცემდა, მუცელზე — მოყვითალო, ზურგზე კი — მოშავო (ი. გოგ.). (ვეფხვმა) მოშავფრო საღებავით აჭრელე-ბული კუდი გავაზე შემოიდო (ვაჟა).

რუსულში გვაქვს черноватый:

Что-то знакомое мелькнуло в чертах этого круглого и румяного лица, едва тронутого жиденькой черноватой бородкой (Мам.-Сиб.).

ცნობილია, რომ ოდნობას ქართულში გადმოსცემს აგრეთვე გაორკეცებული ფუძე<sup>10</sup>.

განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით შავ-შავი ნიშნავს საკმაოდ შავს:

ბერძნულის მასწავლებელი შავ-შავი, ხმელი კაცი იყო (ვაჟა). გამგედ ყმაწვილკაცი იყო... შავ-შავი ახალგაზრდა (ვ. ბარნ., ქეგლ).

ხოლო იქვე მოყვანილ ე. ნინოშვილის ფრაზაში:

(დარიამ სიმონას) აღერსიანად მიაპყრო თავისი დიდრონი შავ-შავი თვალები,

შავ-შავი, ჩვენი აზრით, ფერის მეტ ინტენსივობაზე მიუთითებს. გაორკეცებული ფუძის გაანალიზებისას არსებითი მაინც ის არის, რომ ეს ფუძე სიშავეზე მიუთითებს, ოღონდ კონტექსტის მიხედვით ეს სიშავე მეტ-ნაკლები სიძლიერით წარმოჩინდება.

რუსულში ფუძის გაორკეცება ფერის მეტ ინტენსივობას აღნიშნავს.

გაორკეცებულ-გაძლიერებული ფუძით черный-пречерный, темный-претемный ქ. დათიკაშვილის ლექსიკონში თარგმნილია სიტყვა კუბრინი.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ქართულ-რუსულ ლექსიკონებში არ გვხვდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილი

<sup>10</sup> თუმცა „ფუძის გაორკეცებას სხვა ფუნქციაც აქვს — სიმრავლესაც გადმოსცემს“ (ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 143).

შავი ფერის აღმნიშვნელი 13 სიტყვიდან 10 ერთეული, ზოლო რუსულ-ქართულ ლექსიკონებში არ გვხვდება 4 ერთეული რუსული ენის განმარტებით ლექსიკონებში წარმოდგენილი 6 სიტყვიდან.

ჩვენი აზრით, ეს სიტყვები ერთი ენიდან მეორეზე სხვადასხვაგვარად უნდა გადაიცეს<sup>11</sup>.

აზრობრივი, საერთო ფერის აღმნიშვნელი სიტყვით **черный** უნდა გადაიცეს დიალექტური და არქაული ფორმები: **კუკუნახი**, **ყუყა**, **ყურ-ყუმი**, **ყვირჭი//ყურჭი**; აგრეთვე **შავფერი**, რომელიც შავის ვარიანტს ჰგავს. შავ- ფუძით უნდა გადმოიცეს ქართულად, ალბათ, რუსული **чугунный**, **черносливный**.

აღწერითი ან შედარებითი ფორმით უნდა გადაიცეს, ალბათ, შემდეგი სიტყვები:

**ქვარტლისფერი**, **მურისფერი** — **черный**, как сажа,

**ყორნისფერი** — **черный**, как вороново крыло,

**კუმეტი**, **კუნაპეტი** — **черный**, как смоль, как ночь, как вишни, как угли.

**სმოლისტი** — კუბრივით შავი.

**უგოლნისტი** — ნახშირივით შავი ან შავი, როგორც ნახშირი.

რუსულ ენაში იხმარება ფერის აღმნიშვნელი კნინობით-მოფერებითი ფუძეები: **черненький**, **черноватенький**, **чернѣхонек**, **чернѣшенек**, **чернобровенький**, **черноволосенький**, **черноглазенький**, **черномазенький**:

Две дочери: одна черненькая, другая беленькая... обворожили юношу (Гонч.). Из себя Елисей был мужичок невысокий, черноватенький, с курчавой бородкой (Л. Толст.). За козьею поляной в смородиннике ягоды видимо-невидимо, ручьем в корзины течет... Нигде еще не вызрела, а там чернехонька! (Николаева). Он держал веселую, черноволосенькую девочку на коленях у себя, играя с нею (Горьк.). Чернобровенький, молоденький, Не стой передо мной (Рус. нар. песня). А этот, как его, он турок или грек? Тот черномазенький, на ножках журавлиных, Не знаю, как его зовут, Куда ни сунься: тут как тут (Гриб.). Назначали Ваню в ратнички; ... Неизвестно за какую за вину — За вину его не маленькую, За девочку черномазенькую (Собол.).

ზემოაღნიშნული ფორმები არაა შეტანილი თარგმნით ლექსიკონებში. ისინი ქართულში დადებითი ფორმით უნდა გადმოიცეს.

<sup>11</sup> მხედველობაში გვაქვს ფერის აღმნიშვნელი სიტყვის საერთო თარგმანი, რომელიც შეძლებისდაგვარად დაზუსტებას მოითხოვს, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში მას კონტექსტისდა მიხედვით შეიძლება განსხვავებული თარგმანიც ჰქონდეს.

რაც შეეხება შავი ფერის სემანტიკის შემცველ კუთვნილებითსა და განსაზღვრებით კომპოზიტებს, ისინი ქართულში მეტია (82), ვიდრე რუსულში (44). ეს სხვაობა გამოწვეულია ქართულ ენაში კომპოზიციისა და სიტყვაწარმოების თავისებურებით:

1. ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე მაწარმოებელთა სიმრავლით: -იან, -ა, -ოსან სუფიქსების ფართოდ გამოყენებით, რომლებიც, ცხადია, ცალკე სალექსიკონო ერთეულებს ქმნიან: შავტარიანი, შავტარა; შავკანიანი, შავკანა; შავთავთავიანი, შავთავთავა; შავხალათიანი, შავხალათა; შავკაბიანი, შავკაბა; შავფრთიანი, შავფრთოსანი; შავნაბადა (დათიკ.), შავნაბადიანი, შავნაბდოსანი; შავჩოხიანი, შავჩოხა, შავჩოხოსანი.

2. ფერის აღმნიშვნელი ფუძე ქართულ ენაში წარმოდგენილია კომპოზიტის როგორც პირველ (57), აგრეთვე მეორე (9) კომპონენტად: შავთვალეზიანი, შავთვალა და თვალშავა, თვალშავი (ჩუბინ.); შავფრთიანი და ფრთაშავი; შავთმიანი და თმაშავი, რაც გამოწვეულია იმით, რომ თანამედროვე ქართულში არსებობს მსაზღვრელ-საზღვრულის როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობა. რუსულ ენაში კი შესაბამისი ფუძე კომპოზიტებში გვხვდება მხოლოდ პირველ კომპონენტად: чернобровый, черноголовый//черноглавый, черногрудый, чернобрюхий, чернокрылый, черноликий, чернолицый, чернокожий, черноногий, черномордый, черноусый და მისთ. ამიტომ რუსულში ერთ სალექსიკონო ერთეულს ქართულში შეესაბამება ორი, სამი და ზოგჯერ მეტიც კი: черногривый — შავფაფარიანი (ჩუბინ.); შავფაფარა, ფაფარშავი (უნივ.); შავფაფარა, შავფაფარიანი (რქლ); черноглазый — შავთვალა, შავთვალეზიანი, თვალშავა, თვალშავი (ჩუბინ.).

ეს კომპოზიტები თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით ერთი ენიდან მეორეში ორგვარად გადაიცემა:

1. სრული შესატყვისით: შავწვერა — черногородый (ჩუბინ., დათიკ.), შავულვაშიანი — черноусый (დათიკ.), შავწარბა — чернобровый (ჩუბინ.); черноволосый — შავთმიანი (ჩუბინ., უნივ., რქლ); черноголовый — შავთავა (ჩუბინ.), შავთმიანი (რქლ); черногривый — შავფაფარიანი (ჩუბინ.), შავფაფარა, ფაფარშავი (უნივ.), შავფაფარა, შავფაფარიანი (რქლ); чернокожий — შავკანიანი (უნივ., რქლ); чернокудрый — შავკულულიანი, შავთმიანი (რქლ); черноусый — შავულვაშიანი, შავულვაშა (რქლ); черношерстый — შავბალნიანი, შავმატყულიანი (რქლ);

2. აღწერითი თარგმანით: შავტარიანი//შავტარა — с черным черенком (დათიკ.); შავტარიანი დანა — нож с черною ручкою (ჩუბინ.); შავჩოხიანი//შავჩოხა — в черной чохе, одетый в черную чоху

(დათიკ.); შავნაბღოსანი — человек в черной бурке (დათიკ.); შავხალი-ანი — с черными родинками (დათიკ.); შავკანიანი — в черной клеенчатой обложке (შავკანიანი чернокожий-ს მნიშვნელობით პირველ ჯგუფს მიეკუთვნება); შავთვალწარბა — чернобровый и черноглазый (черноокий პოეტ.) (დათიკ.).

ამრიგად, აქ წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. შავი ფერის აღმნიშვნელი ფუძე ერთი ენიდან მეორეში ძირითადად სამი სახით გადაიცემა: ა. სრული შესატყვისით: გიშრისფერი — агатовый. ბ. გაორკეცებულ-გაძლიერებული ფუძით: კუპრიანი — черный-пречерный, темный-претемный (დათიკ.). გ. აზრობრივი შესატყვისით: მაყვლისფერი — черный (დათიკ.).

2. შავი ფერის აღმნიშვნელი ფუძე ქართულში მეტია (13), ვიდრე რუსულში (6) და მათი უმრავლესობა ორივე ენაში თვალეხსა და თმასთან დაკავშირებით იხმარება.

3. აგრეთვე მეტია ქართულში კუთვნილებითი და განსაზღვრებითი კომპოზიტებიც, რაც გამოწვეულია ქართულ ენაში კომპოზიციისა და სიტყვაწარმოების თავისებურებით. ორივე ენაში ყველაზე დიდია კომპოზიტთა ის ჯგუფი, რომელიც შეიცავს შავ-სა და черн — ფუძეებს.

4. თავის მხრივ, რუსულ ენაში იხმარება ფერის აღმნიშვნელი კნინობით-მოფერებითი ფუძეები черненький, черноглазенький, чернехонек, чернешенек, რაც ქართულს არ მოეპოვება. ეს ფუძეები ქართულში, ჩვეულებრივ, დადებითი ფორმით გადმოიცემა.